

შპს ახალი ტექნოლოგიები (401997069)

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ბალანსი -----	2
მოგება ზარალის ანგარიშგება -----	3
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება -----	4
ფულადი სახსრების მოძრაობა -----	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7-10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის	11
5. ძირითადი საშუალებები	12
6. მიწა	13
7. მარაგები	13
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
9. ფული და ფულის ექვივალენტები	14
10. მიღებული სესხები	15
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
11. შემოსავალი	15
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
15. ბალანსის შემდგომი მოვლენები	16

შპს "ახალი ტექნოლოგიები"

ს/ნ 401997069

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ბალანსი	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	23,711	29,157	96,075
სავაჭრო მოთხოვნები	665,046	518,540	819,831
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები			
- მზა პროდუქცია	372,909	427,200	427,885
- სხვა	17,807	49,043	
სხვა მოკლევადიანი აქტივები			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			508,130
მიწა			
სხვა არამატერიალური აქტივები	351,733	372,804	204,488
ძირითადი საშუალებები			
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,431,206	1,396,744	2,056,409
სულ აქტივები			
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	269,000	224,411	244,438
სავაჭრო ვალდებულებები			
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	34,298		9,980
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1,293	
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესიო ვალდებულებები	88,692	129,038	490,645
გრძელვადიანი სასესიო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	391,990	354,742	745,063
სულ ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები	1,039,216	1,042,002	1,311,346
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი			
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები	1,039,216	1,042,002	1,311,346
სულ საკუთარი კაპიტალი	1,431,206	1,396,744	2,056,409
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			

შპს "ახალი ტექნოლოგიები"

დირექტორი

83.2



შპს "ახალი ტექნოლოგიები"

ს/ნ 401997069

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ბალანსი

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	23 711	29 157	96 075
სავაჭრო მოთხოვნები	665 046	518 540	819 831
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები	372 909	427 200	427 885
- მზა პროდუქცია			
- სხვა	372 909	427 200	427 885
სხვა მოკლევადიანი აქტივები	17 807	49 043	
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
მიწა			508 130
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	351 733	372 804	204 488
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	1 431 206	1 396 744	2 056 409

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	269 000	224 411	244 438
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	34 298		
საგადასახადო ვალდებულებები		1 293	9 980
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	88 692	129 038	490 645
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	391 990	354 742	745 063

საკუთარი კაპიტალი			
საქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1 039 216	1 042 002	1 311 346
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	1 039 216	1 042 002	1 311 346
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 431 206	1 396 744	2 056 409

შპს "ახალი ტექნოლოგიები"

დირექტორი

შპს "ახალი ტექნოლოგიები"

ს/ნ 401997069

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
ნეტო ამონაგები	9,533,357	9,184,036	9,006,235
საქონლის გაყიდვიდან	9,533,357	9,184,036	9,006,235
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(7,641,981)	(7,027,441)	(7,013,329)
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადაშუქების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	1,891,376	2,156,595	1,992,906
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	(801,750)	(707,930)	(651,163)
ცვეთა და ამორტიზაცია	(56,799)	(21,600)	(16,973)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	(14,140)	(12,539)	
იჯარის ხარჯი	(202,180)	(178,536)	(168,893)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(379,418)	(710,517)	(296,454)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,454,287)	(1,631,122)	(1,133,483)
საოპერაციო მოგება	437,089	525,473	859,423
გაუქმების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საგალუტო ოპერაციებიდან:			
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			3,466
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	437,089	525,473	862,889
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	437,089	525,473	862,889

შპს "ახალი ტექნოლოგიები"

დირექტორი

83.3



შპს "ახალი ტექნოლოგიები"
ს/ნ 401997069

მოგება—ზარალის ანგარიშგება

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ნეტო ამონაგები	9 533 357	9 184 036	9 006 235
საქონლის გაყიდვიდან	9 533 357	9 184 036	9 006 235
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(7 641 981)	(7 027 441)	(7 013 329)
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	1 891 376	2 156 595	1 992 906

სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	(801 750)	(707 930)	(651 163)
ცვეთა და ამორტიზაცია	(56 799)	(21 600)	(16 973)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	(14 140)	(12 539)	
იჯარის ხარჯი	(202 180)	(178 536)	(168 893)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(379 418)	(710 517)	(296 454)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1 454 287)	(1 631 122)	(1 133 483)

საოპერაციო მოგება	437 089	525 473	859 423
--------------------------	---------	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:			
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			3 466
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე გაწვრთვითი ოპერაციებიდან	437 089	525 473	862 889
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	437 089	525 473	862 889

შპს "ახალი ტექნოლოგიები"

დირექტორი

შპს "ახალი ტექნოლოგიები"
ს/ნ 401997069

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	2024	2023	2022
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,042,002	1,311,346	1,028,644
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	437,089	525,473	862,889
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(413,127)	(545,579)	(493,157)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(26,748)	(249,238)	(87,030)
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,039,216	1,042,002	1,311,346

შპს "ახალი ტექნოლოგიები"

დირექტორი

83.4



შპს "ახალი ტექნოლოგიები"
ს/ნ 401997069

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	2024	2023	2022
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 042 002	1 311 346	1 028 644
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	437 089	525 473	862 889
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(413 127)	(545 579)	(493 157)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(26 748)	(249 238)	(87 030)
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 039 216	1 042 002	1 311 346

შპს "ახალი ტექნოლოგიები"

დირექტორი

შპს "ახალი ტექნოლოგიები"
ს/ნ 401997069

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2024	2023	2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(5,446)	(66,918)	96,075
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(5,446)	(66,918)	96,075
სავალუტო კურსის ეფექტი			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	29,157	96,075	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	23,711	29,157	96,075

შპს "ახალი ტექნოლოგიები"

დირექტორი

83.5



შპს "ახალი ტექნოლოგიები"
ს/ნ 401997069

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2024	2023	2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(5 446)	(66 918)	96 075
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(5 446)	(66 918)	96 075
სავალუტო კურსის ეფექტი			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	29 157	96 075	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	23 711	29 157	96 075

შპს "ახალი ტექნოლოგიები"

დირექტორი _____

შპს ახალი ტექნოლოგიების - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ახალი ტექნოლოგიები“ (401997069) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით შექმნილ, მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა:

- სამშენებლო ლაქ-საღებავებით და სხვა სარემონტო მასალებით ვაჭრობა.

კომპანიის დაარსების თარიღია 19.05.2014.

შპს „ახალ ტექნოლოგიებს“ ჰყავს ერთი დამფუძნებელი, 100% წილის მფლობელი ფიზიკური პირი: ზურაბ ჭუმბურიძე (პ.ნ# 25001003894), რომელიც ამავე დროს კომპანიის დირექტორია.

მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბის რაიონი, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ხოშარაულის ქუჩის მიმდებარეს (ნაკვეთი #4/115).

ფაქტიური მისამართი - საქართველო, მტკვრის მარცხენა სანაპირო

ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის

მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ

შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას უცხოურ ვალუტაში ოპერაციები არ უწარმოებია.

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი

ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20 წელი
საოფისე აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 7 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობას.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

კომპანია რეგისტრირებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად დაარსების დღიდან.

კომპანია ყოველთვიურად წარადგენს მოგების, დამატებული ღირებულების და საშემოსავლო გადასახადებს. წლირად წარადგენას ექვემდებარება ქონების გადასახადი.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

შემენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები შემოსავალში ტარდება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.10 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ

ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

ზოგადად საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. ანგარიშგების წარდგენა

კომპანიის მიერ წარმოდებული ბუღალტრული აღრიცხვა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან.

შპს ახალი ტექნოლოგიების - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა: 1

ძირითადი საშუალებები

შენიშვნა ნაგებობა - 140 905 ლარი

სხვა ძირითადი საშუალებები- 210 828

6. მიწა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 0 ლარი

7. სასაქონლო მარაგები

კომპანიის სასაქონლო მარაგს წარმოადგენს სავაჭრო მიზნით შეძენილი საქონელი, რომლის ღირებულებაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრება 351 733

მარაგები	31.12.2024
საქონელი	
სულ	351 733

8. მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

31.12.2024

სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	665 046
გადახდილი ავანსები	
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	
<u>დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი</u>	
სულ	665 046

კომპანიას ჰყავს კლიენტი ორგანიზაციები, რომლებთანაც აქტიურად თანამშრომლობს და ყოველთვიურად იფარება მოთხოვნები, რის გამოც კომპანიას არ აქვს გაუფასურების ზარალის დადგენის აუცილებლობა

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2024

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	23 711
საბანკო ოვერდრაფტი (შენიშვნა 10)	
სულ	23 711

კომპანიის ძირითადი საანგარიშშორებო ანგარიშები აქვს თიბისი ბანკში და სს საქართველოს ბანკში, კომპანიას აქვს სალაროს ოპერაციები, ფლობს საკასო აპარატებს, არ ფლობს დეპოზიტებს და ანაბრებს

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2024
სავაჭრო ვალდებულებები	269 000
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	34 298
სესხები	88 692
სულ	391 990

11. შემოსავალი

ამონაგები	2024
საქონლის გაყიდვა	
მომსახურების გაწევა / ადგილობრივი	9 533 357
სხვა	
სულ	9 533 357

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საოპერაციო ხარჯების დიდი წილი მოდის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯზე.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024
ხელფასები	(801 750)
სხვა	(652 537)
სულ	(1 454 287)

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას აკონტროლებს ფიზიკური პირი ზურაბ ჭუმბურიძე 100%-ით. კომპანია არ ფლობს წილებს სხვა კომპანიებში, არ ჰყავს შვილობილი ორგანიზაცია.

14. ოპერაციები ხელმძღვანელ მხარესთან

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024
შრომის ანაზღაურება მთლიანად	164 373
სულ	164 373

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები

კომპანიის არსებული ლიკვიდური აქტივებით კომპანიის ფუნქციონირებას არანაირი საფრთხე არც დღეს და არც მომავალში არ ემუქრება.